№2/1666
PX 4387/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძერწილი ლექსები

ISBN 978-9941-0-5716-8
9 789941 057168

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭუკები

გალმა ხედავ? - ჭუკებია,
ქათმებს ეჭუკჭუკებიან:

- ნუ გაგვამხელთ უფროსებთან,
არ მოსწვდებათ აქ ყურიო,
გვსურს კაკანი შევისწავლოთ,
სულ არ მოგვწონს ყურყურიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდის მოვა თოვლის პაპა

მაშინ, როცა დეკემბერი წავა,
გზას დაუთმობს იანვარს და თოვას,
პატარებო, ახალი წლის ღამეს,
თოვლის პაპა საჩუქრებით მოვა.

ყველაფერი დაუჯერეთ მშობლებს,
სწავლით გული გაუხარეთ, თორემ,
თოვლის პაპა ურჩ და ზარმაც ბავშვებს,
დამიჯერეთ, უსაჩუქროდ ტოვებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმადური ფისო

- ფისუნია, ფისოვ,
ნუ მიბურდავ ძაფებს,
ზამთრისათვის გიქსოვ
წინდებსა და კაბებს.

- ნუ ირჯები უქმად,
შენთვის არვის უთქვამს? -

წინდებსა და კაბებს
არასოდეს ვიცვამ,
სიცივისგან ჩემი
თბილი ქურქი მიცავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომა

რა ჯობია შემოდგომას,
საწნახელზე შემოდგომას?!

ჩურჩხელებით სავსე ძელებს,
ციცქნა გულებს რომ გვიძგერებს.

ჩირებს, კოხტად ამძივებულს,
თოკს, ჩამიჩით დამძიმებულს.

სავსე ბელლებს და ნალიებს,
ქვევრებს, ღვინო რომ დალიეს.

ზვინებს, ცამდე აკიდებულს,
აკიდოებს - დაკიდებულს.

ფოთლებს, ჭრელად მოფარფატეს,
არემარე რომ დახატეს.

რა ჯობია ხვავიან და
ბარაქიან შემოდგომას?!

რთველში "მრავალჟამიერს" და
საწნახელზე შემოდგომას?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოკლოზინა

აღარ მინდა ამდენი
სტაფილო და ჭარხალი,
გავიზრდები ისედაც
ლონიერი, მაღალი.

ჩემი ძაღლი გინახავთ? -
ძლიერია, ჭკვიანი.
აბა, ჰკითხეთ თუ უყვარს
ბოსტნეულის წვნიანი?

წუწკი თაგვი რომ გვიმზერს
ცალი თვალით სოროდან,
აბა, ჰკითხეთ, ყოფილა
ერთხელ სტომატოლოგთან?

მე კი მეუბნებიან,
გაიფუჭებ კბილსაო,
თუ ყოველდღე დაკვნიტავ
კანფეტებს და თხილსაო.

ის მაჭამეთ, რაც მიყვარს,
რაც არასდროს მწყინდება,
რა ჯობია, ყელი რომ
ჩამიკოკლოზინდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობობა

ობობა ვარ,
რვაფეხა და რვათვალა,
თუ არ გჯერათ,
დამაკვირდით, დათვალეთ!

კარგად ვხედავ,
ჩემს რვავე თვალს - სიკეთე,
სათვალესაც
არასოდეს ვიკეთებ.

მქსოველი ვარ,
არ მჭირდება ჩხირები,
ფეხებშიაც
არვის არ ვეჩხირები.

არ გეგონოთ
ვტრაბახობდე, მარდი ვარ,
ცოცვაც ვიცი,
სიმაღლეზეც ავდივარ.

სათამაშოდ
არასოდეს მცალია,
აბლაბუდის
ქსოვა მიყვარს ძალიან.

12
9
3
6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარიესი

სტომატოლოგს შესჩივლა
პაწაწინა ნიამ:
- ჩემი თეთრი კბილები
შემიჭამა ჭიამ.

შემძვრალიყო ატამში,
ან დაშაქრულ ბალში,
თუნდაც სულ გადაეხრა
ჩემი ეზოს ვაშლი, -

არ გავუბრაზდებოდი,
გეფიცებით დედას,
ჭიასაც ხომ სჭირდება
სათანადო კვება?

მაგრამ ჩემი კბილები
რა ნამუსით დახრა?
აი, როგორ ვანანებ,
თქვენ თვითონაც ნახავთ!

მხრებს იჩეჩავს ექიმი:
- რა მატლი და ჭია?
შენ რაც ჭია გგონია,
კარიესი ჰქვია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარბები

ჩხუბობს ორი წიწილა,
თითისტოლა, პაწია,
ჭია ველარ გაიყვეს,
არის გაწამაწია.

ეს რომ ნახა მამალმა,
წყენა ველარ დამალა, -

ისე ჩაუნისკარტა
პაწაწინა წიწილებს,
მოიბუზა ორივე,
საცოდავად წივწივებს.

გაიფხორა კრუხი და
შვილებს გამოესარჩლა,
ფრთები გადააფარა,
მამალმა კი ესა თქვა:

- მოფერებას აჯობებს,
ჭკუა რომ დაარიგო,
ერთი ჭია, ხარბებმა,
ძმურად როგორ გაიყონ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაჭაპური

აი ცომი,
ყველის გუნდა.
ხაჭაპური
ყველას უნდა!

გარჯა ვის არ
ეზარება?
გააბრტყელოს
ცომი ხელად!

- შიგ რას ჩავდებთ?
- ბლომად ყველსა!
ცომს გადავკეც-
გადმოვკეცავთ!

- მერე?
- ღუმელს
გავახურებთ,
გამოვაცხობთ
ხაჭაპურებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგუს და დათას წერილი ცას

პატივცემულო ცაო,
მოგმართავთ დიდი თხოვნით:
გამოგვიგზავნეთ ბავშვებს
მონატრებული თოვლი!

ნუ მოიმარჯვებთ საცერს,
დაუშვით ფთილა–ფთილა,
სამი დღე–ღამე ბარდნოს,
ოღონდ, იყავით ფრთხილად, –

არ შეერიოს წვიმა,
ცაო, თოვლ–ჭყაპით, აბა,
რას ვიგუნდავებთ, ან რა
თოვლის ბაბუებს დავდგამთ?!

წერილს ხელს ვაწერთ ქვემოთ
ძმები, – გიგუ და დათა,
რომ შეგაწუხეთ თხოვნით,
დედიკოსთან ნუ გაგვთქვამთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოჩი

ყოჩივარდა
გაყოყოჩდა,
ყოჩი ვარ და
ამიტომო,
გაზაფხულის
ყვავილებმა
თავი აღარ
გამიტოლონ.

იამ გულში
გაიფიქრა,
შენი ტოლი
როდი ვარო,
გაზაფხულის
მახარობლად
სულ პირველი
მოვდივარო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტორქა

გაგონილა, მარტორქავ,
ჭამა მუდამ მარტოკა?!

სხვებსაც გაუნაწილე!
ვერა ხედავ? მელია
გაძვალტყავებულია,
სარჩო შემოლევია.

დამიჯერე, მარტორქავ,
არ იქნება ურიგო,
შენი საჭმელ-სასმელი
სხვებსაც რომ დაურიგო.

არ მოიშლი ძუნწობას? -
დაგცინებენ ბავშვები.
სუქი-სუქი, მსუქანავ,
უმეგობროდ დარჩები!

ნათია ჯანაშია

გამოძერწილი ლექსები

ნანა მელქაძე – ილუსტრაციები
სანდრო დარახველიძე – ფოტოგადაღება
სოფო ტარყაშვილი – კომპიუტერული უზრუნველყოფა

© ნათია ჯანაშია – „გამოძერწილი ლექსები“

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში“

თბილისი, 2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოჩი

კოკლოზინა

ხაჯაპური

კარიესი

ხარბები

მარტორქა

ჯუკები

ობობა

უმადური ფისო

შემოდგომა

გიგუს და დათას ნერილი ცას

როდის მოვა თოვლის პაპა